ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 მარტი, შაბათი, 1990 წ.
№ 48 (10 212) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში



მედალიც ბევრია

ხუთი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს ქართველმა ძიუდოისტებმა რიგით 21-ე ტურნირზე. ცხადია, მართლაც კარგი შედეგია, მაგრამ ამ მედლების შარშან, ანდა უფრო ადრინდელი შეჯიბრებების მონაპოვართან შედარება ბევრს არაფერს მოგვცემს: ყოველ წელს იცვლება ტურნირის შემადგენლობა, ჩვენს გუნდსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ხან მეტი მოჭიდავე დააკლდება ხოლმე, ხან — ნაკლები. მთავარი, ალბათ, ის იყო, რომ ქართველი ფალავნები ამ ტურნირზეც ტრადიციულად ყველას ყურადღების ცენტრში იყვნენ, ბევრი ლამაზი შეხვედრა ჩაატარეს, მოიპოვეს მედლები... მოკლედ, იჭიდავეს ისე, როგორც ჩვენს ძიუდოისტებს ეკადრებათ და მაყურებელს მოლოდინი გაუმართლეს.

როგორც უკვე გაცნობეთ, შეჯიბრების მეორე დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ორი ქართველი ფალავანი — გურამ მოდებაძე და ბათო ჯიქური.

მოდებაძეს, ჯერჯერობით მაინც, წლევანდელი ტრიუმფატორი შეგვიძლია ვუწოდოთ, მან იმ დროს გამოიჩინა თავი, როდესაც 65 კგ წონაში ისეთი მდგომარეობა იყო, ფავორიტს ვერ დაასახელებდი. ახლა კი ეს საკითხი ნათელი უნდა იყოს — მოდებაძემ შესანიშნავად მოიგო იაპონიის საერთაშორისო ტურნირი, საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონატიც და ახლაც, უკვე მეორედ, გაიმარჯვა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე.

მის ჭიდაობაში უკვე ჩამოყალიბებული ოსტატის ხელწერა შეინიშნებოდა, მოდებაძე ხუთჯერ გამოვიდა ტატამზე და ყოველთვის ვადამდე იმარჯვებდა. ყველაზე მედგარი წინააღმდეგობა ისევ თანაგუნდელმა, ახალგაზრდა გიორგი წმინდელმა (საგარეჯოს რ-ნი) მოჭიდავემ გია ხოსიტაშვილმა გაუწია. ორთაბრძოლის ბოლომდე სულ რაღაც 16 წამი იყო დარჩენილი, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მაინც მოახერხა ეფექტური ფანდის ჩატარება და გაიმარჯვა.

გურამ მოდებაძე ჭიათურელია, ოღონდ კარგა ხანია თბილისში ვარჯიშობს (მწვრთნელი ნუგზარ გოგოლაური).

გია ხოსიტაშვილი (მწვრთნელი ბიჭიკო მარიდაშვილი) ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, მეტად პერსპექტიულ ძიუდოისტად რომ ითვლებოდა. შემდეგ ორიოდე წლით რატომღაც დაიკარგა თვალთახედვიდან. ახლა ისევ გამოჩნდა, ოღონდ უფრო სერიოზული განზრახვით. ამ „მეორე დასაწყისისთვის“ ვერცხლის მედალი ღირსეული ჯილდო უნდა იყოს.

ამავე წონაში მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ორი სრულიად ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავე, გერასიმე ხაბულიანი და ზურაბ სამუკაშვილი. გაიმარჯვა ლენტეხელმა ხაბულიანმა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. იგივე წარმატებას მიაღწია ამერიკელმა ჯეიმს პედრომ.

იხ. მე.2 გვ.

კვლავ ჩემპიონი!

შეიძლება დადგეს დრო, რომ ნინო სალუქვაძეს ჩემპიონატებიდან პირდაპირ შინ გამოუგზავნონ ოქროს მედალი, შეჯიბრება კი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის ჩაატარონ სხვა სპორტსმენთა მონაწილეობით... ამას, ცხადია, ხუმრობით ვამბობთ, მაგრამ როცა ნინო შეჯიბრებაში გამოდის, ოქროს მედლის ბედი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უკვე გადაწყვეტილია.

გუშინაც ტრადიციული სასიხარულო ცნობა მივიღეთ, ამჯერად — ჰოლანდიის ქალაქ არნემიდან, სადაც ტარდება ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. საკდესის ლაკონიური ტექსტი გვაუწყებს: „ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური იარაღით სროლაში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ნინო სალუქვაძემ. იგი საუკეთესო იყო პისტოლეტის მსროლელთა შორის — 485,6 ქულა (388 მოაგროვა ძირითად სერიებში, 97,6 — ფინალში). მეორე ადგილზე გავიდა მისი ძველი მეტოქე, იუგოსლავიელი იასნა სეკარიჩი — 483,8 (385+98,8), მესამეზე — ასევე ცნობილი მსროლელი ლიზელოტა ბრეკერი (გფრ) — 483,8 — (382+97,8).

კარგად ხედავთ ნინოს მნიშვნელოვან უპირატესობას მეტოქეებთან შედარებით, მით უფრო, რომ მეორე ადგილის ბედი მხოლოდ სეკარიჩის მიერ ფინალში ნაჩვენებმა უკეთესმა სერიამ გადაწყვიტა.

ვუსურვებთ ჩვენს ახალგაზრდა ჩემპიონს ამ მორიგ დიდ გამარჯვებას, ვუსურვებთ ასევე მის მამას და მწვრთნელს ვახტანგ სალუქვაძეს.

ხურათზე: ნინო სალუქვაძე.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

ქვესი პრეტენდენტი

1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენდენტებად ოფიციალურადაა რეგისტრირებული ექვსი ქალაქი: აოსტა (იტალია), ხაკა (ესპანეთი), ნაგანო (იაპონია), ოსტერსუნდი (შვეცია), სოლტ-ლეიკ-სიტი (აშშ) და სოჩი (სსრ კავშირი). ასეთი ცნობა მოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან, რომლის 97-ე სესიის მონაწილეებიც თავიანთ საბოლოო არჩევანს წელს, ივნისში, ინგლისის ქალაქ ბირმინჰემში გააკეთებენ.

(საკდესი).

ქვეყანაზე სწრაფი ციგა

ეს ცნობა გუშინ მივიღეთ სვერდლოვსკიდან, საციგაო სპორტი ჩვენს რესპუბლიკაში იმ სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე ათეული სპორტსმენი მეცადინეობს. მაგრამ მათ შორის არიან ლიდერები, თანაც ისეთები, არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც არ დაეძებნება ბადალი. ერთი მათგანია ბაკურიანელი ზვიად გაგლოევი, რომელმაც 17-18 წლის სპორტსმენთა შორის სვერდლოვსკში გამართულ ქვეყნის პირველობაზე ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

„დინამო“ — „ჟალგირისი“

ამ გუნდების შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე დღეს და ხვალ გაიმართება ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (ვერის ბაღი). ორივე მატჩი 19 საათზე დაიწყება.

როგორ არის კარატისტების საქმე?

გუნდი გაემგზავრა

ტრადიციულ კარატეში ჩვენი ნაკრები პირველი გუნდია, რომელიც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონატზე, როგორც პლანეტის სპორტული სამყაროს სრულუფლებიანი წევრი. გადაიდგა რეალური ნაბიჯი ქართული სპორტის სრული სუვერენიტეტის გზაზე.

გახსოვთ, რამდენ პრობლემასთან გადაიჯაჭვა პერუში გამგზავრების საკითხის მოგვარება? იყო ორგანიზაციული და ფინანსური სიძნელეები. განსაკუთრებით ჩვენი სპორტსახკომის ხელმძღვანელთა ზრუნვას უნდა გაესვას ხაზი. სპორტსახკომმა თავისი სავალუტო ფონდიდან, რაც სულ 5 ათასი დოლარია, 4 ათასი კარატისტებისთვის გამოყო და საბოლოოდ ამან მოხსნა კითხვის ნიშანი, გაემგზავრებოდა თუ არა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე.

გუნდი გუშინ გაფრინდა თბილისიდან მოსკოვს, საიდანაც ხვალ გაემგზავრება პერუში. გამგზავრების წინ გუნდი საქართველოს სპორტსახკომში მიიწვიეს. კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ გზა დაულოცა ნაკრებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთელმა საქართველომ სიხარულითა და სიამაყით აღიქვა მსოფლიო სარბიელზე ქართული დამოუკიდებელი სპორტის პირველი წარმომადგენლის, ტრადიციული კარატეს საქართველოს ფედერაციის გაერთიანება ევროპის ფედერაციაში და მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი სპორტსმენების მიწვევა. გასაგებია გუნდის, თითოეული წევრის პასუხისმგებლობა. ჩვენი ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული სპორტის პირველ ნაბიჯს საერთაშორისო სარბიელზე. სწორედ ამიტომ გაკეთდა ყველაფერი, რომ გუნდას გამგზავრება არ ჩაშლილიყო, — თქვა ნ. ენდელაძემ.

ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ რესპუბლიკაში სავალუტო ფონდის შექმნის საკითხის მოგვარება ძალზე საშური საქმეა, თორემ მოხდება ისე, რომ სწორედ ამ მიზეზით ჩვენი გუნდები ვეღარ გავლენ საერთაშორისო სარბიელზე. დღეს ხომ ასეთი რეალური საფრთხის წინაშე დგას ქალ წყალბურთელთა გუნდი. რესპუბლიკის სპორტსახკომს ახლა დარჩა ათასი დოლარი, ეს კი უცხოეთში ერთი სპორტსმენის გასამგზავრებლადაც არ იქნება საკმარისი. იმედია, რესპუბლიკის მთავრობა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა სერიოზულად იზრუნებენ ამ საკითხების მოსაგვარებლად, რათა ეკონომიკურმა უსუსურობამ არ დაბეჩავოს თაობათა მიერ ფუძეგანმტკიცებული ტრადიციები.

დარჩება შთამომავლობას

„ლელოს“ 23 თებერვლის ნომერში ვწერდით, რომ კარგი იქნება, თუ პერუს მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი კარატისტების მონაწილეობა, როგორც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, აღიბეჭდება ფირზე და შთამომავლობას დარჩება. ამისთვის საჭირო იყო ვიდეოკამერა და დახმარებას ვთხოვდით საზოგადოებრიობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, თხოვნა ბევრმა გულთან ახლოს მიიტანა. რედაქციაში პირველი გვეწვია თბილისელი თემურ ხვედელიძე, რომელმაც უნიკალური ვიდეოკამერა და კასეტაც შემოგვთავაზა. ჩვენს თანამოქალაქეს დიდი მადლობა გადავუხადეთ თანადგომისთვის. ასე რომ, ჩვენი სპორტული დელეგაციის შინ დაბრუნების შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ეკრანზე ვიხილოთ ქართული სპორტის სუვერენიტეტის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები.

მედალიც ბევრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ტურნირის პრიზიორები

გიორგი ხოსიტაშვილი



ზურაბ ონიანი



აკაკი კიბორძალიძე



გერასიმე ხაბულიანი

უკვე მოგახსენეთ, რომ 71 კგ წონაშიც ერთმანეთს ქართველი ფალავნები დაუპირისპირდნენ — ლენტეხელი ზურაბ ონიანი, 21 წლის ღონიერი, შეუპოვარი მოჭიდავე და 23 წლის ბათო ჯიქური, ძალზე ტექნიკური, სწრაფი ძიუდოისტი. ამ განსხვავებული მანერის მქონე მეტოქეთა შეხვედრაში ჯიქურმა, თავისი მდიდარი ხერხების მარაგის გარდა, გამოცდილებაც დაიხმარა, კოკა და იუკო დაიმსახურა და გამარჯვებულმა დატოვა ტატამი. ამ ნიჭიერ ფალავანს მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე მუდამ პრიზიორთა შორის ვხედავდით, ოღონდ გამარჯვებისათვის თითქოს ბედი არ წყალობდა. ახლა კი მაინც გატეხა ნავსი. გამარჯვებულის მწვრთნელია სულიკო ფეიქრიშვილი, ხოლო შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორ ონიანს, რომელმაც ასევე კარგად დაამახსოვრა მაყურებელს თავი, ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ავარჯიშებს. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა სერგეი კოლესნიკოვმა და ალექსანდრ ვლასოვმა.

78 კგ წონაში ჩვენი ფალავნები უმედლებოდ დარჩნენ. მართლაც ტრიუმფატორის საკადრისი ზეიმი გამართა ტატამზე ამერიკელმა მორის იასონმა, როდესაც მსჯელობა გადამწყვეტ შერკინებაში (ალგიმანტას მარკიავიჩუსთან) მას მიაკუთვნეს გამარჯვება, მით უმეტეს, რომ ამას მქუხარე ოვაციით გამოეხმაურა ჩვენი მაყურებელი. ბრინჯაოს მედლები კი ედუარდ შპაკო

ფეხბურთის ქართველ ქომაგთა და განსაკუთრებით, ქართული ენისა და ტრადიციების „მესაიდუმლე“ მწვრალ-ჰოეტთა, ეთნოგრაფთა და მეისტორიეთა საყურადღებოდ!

ბატონებო!

რაკი მაინც მოხდა საოცრება და გადავლახეთ ის „რუბიკონი“ საკავშირო უზურპატორული სპორტული იმპერია რომ ჰქვია, ხომ არ ვაგეიანებთ კიდევ ერთი რუბიკონის გადალახვას ანუ ოთხი ქართული „დინამოს“ გადანთავლას?

დიახ, ხომ არ ვაგვიანებთ-მეთქი მქღერი, ენერგიული, ღრმად ქართული და, ამავე დროს ყველა ენაზე იოლად გამოსათქმელ, ხოლო ქართველი ქომაგობისთვის იოლად „ამოსაყიჟინებელ“ ნათლობის სახელთა მიგნებას? (ვგონებ, სხვა გუნდებისათვისაც).

ხომ არაა დროული (რაღა დარჩა პირველ ქართულ ჩემპიონატამდე?!), რომ რესპუბლიკის უმთავრეს ასპარეზს, რომელიც მართალია, არც ულიანოვსკში ძევს და არც ლენინგრადში, მაგრამ მაინც ატარებს დიდი ლენინის სახელს, დაეანათლოს უფრო „ახლობელი“ რამ, რაკი იგი მდებარეობს თბილისის ძირძველ უბანში, სადაც იქორწინა თამარმა და სადაც ეროვნული სიმხნევის დიდი გამოცდათა ჟამს, თამარისავე „დროშისა ქვეშ“ იკრიბებოდა სრულიად საქართველოს ლაშქარი?

ხომ არა გვრჩება თვალ-ყურისა მიღმა, რომ ასპარეზი, სახელად „ლოკომოტივი“. არ ძევს არც ჩერეპოვეცში და არც ნოვოჩერკასკში, არამედ მდებარეობს — დედაქალაქის ასევე ძირძველ შემოგარენში (ანუ ვაკეში?).

და, ვითომ სწორი ვიქნებით საკუთარი თავის წინაშე რომ „ბოლომდე“ ველოლიავოთ და შევუნარჩუნოთ შთამომავლობას არასაკავშირო სტადიონი გიორგი დიმიტროვის სახელობისა?!

ყოველივე ეს თბილისშია! საქართველოს დედაქალაქში!!

საინტერესოა, უკვე ქართულადაა საქმე სხვაგან?!

რაღა დარჩა პირველ ეროვნულ ჩემპიონატამდე?!

ლერი სიხარულიძე.
კინორეჟისორი.

ბილეთები — მკაცრი კონტროლით

მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა არაერთხელ გამოაცხადეს, რომ მკაცრად აკონტროლებენ ბილეთების გასაღებას და ყველა ზომას მიმართავენ, რათა სტადიონზე არ შეაღწიონ ხულიგნებმა. იტალიაში ყველა ზომას მიმართავდნენ იმ ტურისტული ჯგუფების შესამოწმებლად, რომელთა პროგრამაში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე დასწრებაც შედის. ერთადერთი ტურისტული ფირმა, რომელსაც ნება დართეს გაეყიდა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ბილეთები, ესაა „90 ტური“, დანარჩენ ბილეთებს კი ასაღებდა მხოლოდ და მხოლოდ იტალიური ბანკი და იტალიის ფეხბურთის ფედერაცია. ახლა კი ირკვევა, რომ მკაცრი კონტროლის მიუხედავად სხვა არხების საშუალებით ბილეთები მაინც იყიდება. ამასთან დაკავშირებით მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა მ. კუადრინომ განაცხადა:

— ამ ამბით დიდად შეშფოთებული ვართ, სრულიად გაურკვეველია, როგორ ჩაიგდეს ხელთ მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთები სხვა ტურისტულმა ფირმებმა.

ორგანიზატორთა აზრით ბილეთების არალეგალურმა გავრცელებამ შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ ჩემპიონატის მატჩებზე მოხვდებიან საფეხბურთო ხულიგნები, რომლებსაც სხვა გზით ბილეთების შეძენის საშუალება არა აქვთ. გარდა ამისა, ამ მატჩებზე დამსწრე გულშემატკივრები შეიძლება მეტოქე გუნდების ქომაგთა გარემოცვაში აღმოჩნდნენ, ამას კი აუცილებლად პოყვება უწესრიგობანი.

კოლუმბიელთა მწვრთნელი იმუქრება

კოლუმბიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ფრანსისკო მატურანამ, რომელიც გუნდს მსოფლიო ჩემპიონატისათვის ამზადებს, თავის მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა. მან განაცხადა, რომ გუნდს არავითარი პირობები არა აქვს, ფეხბურთელების ხელფასი მინიმალურია და სხვა ნაკრებებთან შედარებით გაცილებით მცირე. თუ მდგომარეობა უახლოეს ხანებში არ გამოსწორდება, მატურანი იმუქრება დამალოს ნაკრები.

აფრიკის „ოქროს ბურთი“ — ჯორჯ უეას

„ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციული ჯილდო „ოქროს ბურთი“ მიენიჭა 23 წლის ლიბერიელ თავდამსხმელს ჯორჯ უეას. იგი დაიბადა მონროვიაში, 187 სმ სიმაღლისაა, იწონის 80 კგ-ს, მეტად სწრაფია და მოქნილი. 1987 წელს დატოვა სამშობლო და ერთხანს კამერუნში თამაშობდა. აქ მას ყურადღება მიაქცია ფრანგმა სპეციალისტმა კლოდ ლერუამ და უეაც „მონაკოში“ აღმოჩნდა. აფრიკელი თავდამსხმელი ამ გუნდში დღემდე თამაშობს.

„ვერცხლის ბურთი“ მიენიჭა კამერუნის ნაკრების ცნობილ მეკარე ჟოზეფ ანტუან ბელს (თამაშობს ბორდოს „ჟირონდაში“), „ბრინჯაოს ბურთი“ — თავდამსხმელ კალუშა ბვალიას (ზამბიის ნაკრები და ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“).

აფრიკელი ფეხურთელებისთვის „ოქროს ბურთი“ დაწესდა 1970 წელს. აი, მისი ლაურეატების სრული სია: 1970 წ. — სალიფ კეიტა (მალი), 1971 წ. — იბრაჰიმ სუნდაი (განა) , 1972 წ. — შერიფ სულეიმანი (გვინეა), 1973 — თსიმიმი ბვანგა (ზაირი), 1974 წ. — პოლ მოუკილა (კონგო), 1975 წ. — აჰმედ ფარასი (მაროკო), 1976 წ. — როჟე მილა (კამერუნი), 1977 წ. — დიან ტარაკი (ტუნისი), 1978 წ. — აბდულ რაზაკი (განა), 1979 წ. — თომას ნ“ კონო (კამერუნი), 1980 წ. — ჟან მანგა ონგუენე (კამერუნი), 1981 წ. — ლაკდარ ბელუმი (ალჟირი). 1982 წ. — ისევ თომას ნ“ კონო, 1983 წ. — მაჰმუდ ალ-ქათიბი (ეგვიპტე), 1984 წ. — თეოფილ აბეგა (კამერუნი), 1985 წ. — მუჰამედ ტიმუმი (მაროკო), 1986 წ. — ბადუ ზაკი (მაროკო), 1987 წ. — რაბაჰ მაჯერი (ალჟირი), 1988 წ. — კალუჟა ბვალია (ზამბია), 1989 წ. — ჯორჯ უეა.

ლისაბონი. პორტუგალიის ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი „პორტუ“ გამოეთიშა ქვეყნის თასის გათამაშებას მას შემდეგ, რაც დამარცხდა მე-11 ადგილზე მყოფ „ტირსენსესთან“ — 0:2.

„სეტუბალმა“ სძლია „ბოავიშტას“ — 2:1. თასის შარშანდელი მფლობელი „ბელენენსეში“ მეოთხედფინალში გავიდა „შავეშთან“ გამარჯვების შემდეგ — 2:0.

პარიზი. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავი ლუი ფერნანდესი, რომელიც თავისი „კლუბის „კანის“ შემადგენლობიდან გარიცხული იყო ხულიგნური საქციელის გამო, აღადგინეს კლუბში.

ამ რამდენიმე დღის წინ ლ. ფერნანდესმა სკანდალი ატეხა და მოითხოვა, რომ მისთვის სხვა მოთამაშეთაგან განსხვავებით ცალკე მიერთმიათ საუზმე, მერე კი, როცა იძულებული იყო საერთო მაგიდას მიჯდომოდა, გამოლანძღა ოფიციანტი და მწვრთნელი.

„კანის“ ხელმძღვანელობამ ლ. ფერნანდესი აიძულა ბოდიში მოეხადა, მას აპატიეს, მაგრამ გარკვეული ხნის განმავლობაში ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებენ.

ბშრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ცენტრფორვარდმა რუდი ფიოლერმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია „რომაში“ თამაშობს, 1992 წლის ზაფხულამდე გააგრძელა ხელშეკრულება ამ კლუბთან. კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელს 750 ათასი დოლარი მიეცემა ყოველ სეზონში.

საკავშირო ჩემპიონატი დაიწყო

დაიწყო სსრ კავშირის 1990 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. რიგით ეს 53-ე გათამაშებაა. პირველი მატჩი 1 მარტს გაიმართა დნეპროპეტროვსკში, ადგილობრივმა „დნეპრმა“ მიიღო ვოლგოგრადის „როტორი“.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „დნეპრმა“.

ამავე დღეს შედგა სსრ კავშირის თასის მერვედფინალის ორი საპასუხო შეხვედრა. ერევნის „არარატმა“ მიიღო მოსკოვის „დინამო“, თამაში მოიგეს დინამოელებმა — 1:0. მოსკოვის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ოდესის „ჩერნომორეცი“ და საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს — 3:0.

სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში 19 და 20 მარტს ერთმანეთს შეხვდებიან: ცსკა — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (კიევი).

როგორც იცით, საქართველოს გუნდები საკავშირო შეჯიბრებებში არ გამოდიან. ამიტომაც თბილისისა და კიევის დინამოელთა შეხვედრა არ შედგა.

იმის გამო, რომ დუშანბეში საგანგებო მდგომარეობაა შექმნილი, ადგილობრივი „პამირი“ თავის შეხვედრებს კიევის „დინამოსთან“ (5 მარტი) და დონეცკის „შახტიორთან“ (9 მარტი) ჩაატარებს ქალაქ კურგან-ტიუბეში, დუშანბედან 60 კილომეტრის დაშორებით.

საკონტროლო მატჩი

სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა გაგრაში მორიგი საწვრთნელი მატჩი გამართეს, მათი მეტოქე ხარკოვის „მეტალისტი“ იყო. ანგარიში სოხუმელმა გ. გოგრიჭიანმა გახსნა და მხოლოდ თამაშის ბოლო წუთებზე შეძლო „მეტალისტმა“ ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

სოხუმელთა შემადგენლობა: ბენიძე (ჟორჟოლიანი), ბოსტანჯიანი, ჩეკუნოვი, ფარულავა, მალანია, ინალიშვილი, ენიკი, ბონდარუკი, გოგრიჭიანი, ჩალიგავა (დოჩია, თარბა), ხაგბა.

თენგიზ პაპკორია.
სოხუმი.

ფეხბურთის ახალი ამბები

მონაელიე. საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა აქ ამხანაგურ მატჩში მიიღო გფრ-ის გუნდი. თამაშს 22 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ანგარიში 37-ე წუთზე გახსნა სტუმართა ნახევარმცველმა ა. მელერმა, ტაიმის დასასრულს კი ფრანგების თავდამსხმელმა ჟ.-პ. პაპენმა საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1. 82-ე წუთზე საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა ე. კანტონამ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 2:1.

კაირო. ფრედ — 0:0 დამთავრდა ეგვიპტისა და ავსტრიის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ეგვიპტელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები არიან, ამ შეჯიბრებისთვის სამზადისის პროგრამით მათ მესამე შეხვედრა ჩაატარეს (დანია, სამხრეთ კორეა, ავსტრია) და ყველა ნულოვანი შედეგით დაამთავრეს.

ტურინი. აქ შედგა იტალიის საფეხბურთო თასის პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივ „იუვენტუსსა“ და მილანის ამავე სახელწოდების გუნდს შორის. თამაში ტურინელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მილანელები, რომელთა შორის გამოირჩეოდა მ. ვან ბასტენი, ეპიზოდური კონტრიერიშებით კმაყოფილდებოდნენ. როცა მატჩის დასასრულს 12 წუთი აკლდა, უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს „მილანის“ ჰოლანდიელი მოთამაშე ფ. რაიკაარდი. საერთოდ, „მილანის“ შემადგენლობაში სამი ჰოლანდიელი თამაშობს — მ. ვან ბასტენი, ფ. რაიკაარდი და რ. გულიტი. რ. გულიტი მინდორზე ვერ გამოდის ავადმყოფობის გამო, ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, აგრეთვე, „იუვენტუსის“ ფეხბურთელს ა. ზავაროვს.

პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. საპასუხო მატჩი 25 აპრილს შედგება მილანში.

მადრიდი. „ბარსელონა“ და მადრიდის „რეალი“ გავიდნენ ესპანეთის თასის ფინალში. ნახევარფინალურ მატჩებში ამ პრიზის მფლობელმა და ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა „რეალმა“ დაამარცხა „კადისი“ — 1:0 და 3:0, ხოლო „ბარსელონამ“ მოუგო „ვალენსიას“ — 2:1 და 1:1. ფინალური მატჩი გაიმართება 14 აპრილს.

აქაური ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობამ უფროსი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა ხავერ კლემენტე. ასეთი გადაწყვეტილება დირექტორატმა მას შემდეგ მიიღო, რაც „ატლეტიკო“ დამარცხდა „ოსასუნასთან“ და ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერს მადრიდის „რეალს“ 8 ქულით ჩამორჩება,

„ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ხესუს ხილმა განაცხადა: „არ გვაკმაყოფილებს მეორე ადგილი, კლუბენტე კი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას“.

ელ-კუვეიტი. არაბეთიის გაერთიანებული საემიროების ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის ემზადება, აქ ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართა კუვეიტის გუნდთან. ფრე— 0:0.

ბარნსი — „ოლიმპიკში“

ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა, ზანგმა ჯონ ბარნსმა გადაწყვიტა კლუბი შეიცვალოს. აქამდე იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა „ლივერპულში“, სადაც ერთ-ერთი შედეგიანი თავდამსხმელი იყო. ახლა ბარნსმა კონტრაქტი დადო მარსელის „ოლიმპიკთან“, სადაც თამაშს ახალი 1990-91 წლების სეზონიდან შეუდგება.

ირანელები უბრუნდებიან ფეხბურთს

ჰომეინის რეჟიმის დროს ირანელ სპორტსმენთა საერთაშორისო კონტაქტები უაღრესად შეზღუდული იყო. ახლა მდგომარეობა აშკარად იცვლება.

ამას წინათ თეირანში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად მიიწვიეს პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც ირანის ნაკრებს შეხვდა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა სტუმრების უპირატესობით აღინიშნა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 2:0. გოლები მე-17 და 55-ე წუთებზე გაიტანა ჟუვერმა, აქედან პირველი 11-მეტრიანით.

ᲘᲚ ᲘᲣᲛ დამთავრდა ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომ თბილისის სპორტის სახახლის სარბიელი ახალ საერთაშორისო ტურნირს დაეთმო.

„შეგობრობის თასი“, — ასე ჰქვია ამ შეჯიბრებას. გუშინ ფიცარნაგზე გამოვიდნენ 52, 56, 60 და 67,5 კგ წონითი კატეგორიის ათლეტები.

საქართველოს ძალოსნები შეჯიბრებაში დღეს ჩაებმებიან. ტურნირი 11 საათზე დაიწყება.



ჯემალ კახრაძის ფოტო.

ᲥᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲜᲯᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ უძველეს ქალაქ ნარვაში გამართულ მოკრივეთა დიდ საკავშირო ტურნირში, რომელშიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 245 წარმომადგენელი იბრძოდა გამარჯვებისათვის, წარმატებით გამოვიდნენ ქართველი მოკრივეები. საგულისხმოა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები, სპორტის ოსტატები სპარტაკ ჯაფარიძე (57 კგ), ზურაბ ფილიანი (75), აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი კახაბერ ჩიქვინიძე (60), პირველად იბრძოდნენ მოზრდილთა რინგზე, პირველმა ორმა, შესაბამისად, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები არავის დაუთმეს.

არმიელმა თენგიზ მესხაძემ კი მეორე ქვესაშუალო წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაჯაბნა და ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა. ხოლო მძიმე წონის (+91) სტუ-ის სტუდენტი ჯაბადარ ცუხიშვილი საპატიო მეორე ადგილზე გავიდა.

ა. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

„სპორტპროგნოზი“

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-8 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.089.394 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (105) — 882, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.680) — 214.

საქართველოში: დაშვებულია 149,832 ვარიანტი. 13—0, 12—3, 11—76.

მე-8 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 17 მარტიდან 17 აპრილის ჩათვლით.

„სპორტლოტო“

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-8 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 2.022.756 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (60) მოგება 1.524 მანეთია. ოთხისთვის (2.160) — 42, სამისთვის (40.400) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 54.677 ვარიანტი, 6—0, 5—2. (თბილისი, მაიაკოვსკი), 4—61, 3—1.055.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 20.259.419 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (66) მოგება 9.350 მანეთია, ოთხისთვის (12.40) — 103, სამისთვის (381.495) — 3.

საქართველოში დაშვებულია 616.715 ვარიანტი. 5—3 (თბილისი-2, ტყიბული), 4—455, 3—12.392.

მე-8 და 1989 წლის 52-ე ტირაჟიდან 1990 წლის მე-8 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 17 მარტიდან 17 აპრილის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ!

კონფერენცია გაიხსნება 7 მარტს 12 საათზე პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს სხდომათა დარბაზში (აკ. წერეთლის პროსპექტი № 95-ა).

დელეგატთა რეგისტრაცია 11 საათიდან.

ᲡᲐᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

22 ქᲣᲚᲘᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. ადგილობრივმა „დინამომ“ 22 ქულით აჯობა გათამაშების აუტსაიდერს, ვილნიუსის „სტატიბას“ 95:73 (52:39).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 28				თებერვლისთვის
ცსკა	33	29	4	62
„დინამო“ (მ.)	33	25	8	58
ᲕᲔᲤ (რიგა)	36	21	15	57
„ᲑᲣᲓᲘᲔᲚ.“ (კ.)	34	21	13	55
„კალევი“ (ტალ.)	33	20	13	53
„ᲮᲐᲠᲗ.“ (ლენ.)	34	15	19	49
„ᲟᲐᲚᲒ.“ (კაუნ.)	33	15	18	48
ᲐᲮᲙ (ალმა-ათა)	29	17	12	46
რტი (მინსკი)	34	12	22	46
„დინამო.“ (თბ.)	32	11	21	43
„ᲨᲐᲢ.“ (დონ.)	34	9	25	43
„სტატიბა“ (ვილნ.)	35	5	30	40

ᲪᲡᲙᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘᲐ

ᲪᲡᲙᲐ-Ს კალათბურთელებმა წარმატებით გაართვეს თავი რიულ ამოცანას: კორაჩის თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი მათ საბერძნეთის „პანიონისთან“ წააგეს 22 ქულის სხვაობით — 107:85. განმეორებით მატჩში არმიელმა კალათბურთელებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს მეტოქე, გაიმარჯვეს ანგარიშით 106:53 (59:28) და გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპზე. მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ ბერეჟნი (25 ქულა), ლოპატოვი (21), ტარაკანოვი (19); სტუმართაგან — ჰანტსონი (29).

ნახევარფინალში ცსკა-ს მეტოქე ექნება იტალიის ქალაქ პისაროს გუნდი „სკავოლინი“, რომელმაც მეოთხედფინალის განმეორებით მატჩში სძლია საფრანგეთის „შოლეს“ 104:94.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან იუგოსლავიის „ბოსნა“ და ესპანეთის „ხოვენტუტი“. მეოთხედფინალებში მათ დაამარცხეს: „ბოსნამ“ — თურქეთის „ეფესი“ 117:78, „ხოვენტუტმა“ — იტალიის „ენიმონტი“ 83:80.

ნახევარფინალური შეხვედრები ჩატარდება 7 და 14 მარტს. ორი მატჩი გაიმართება ფინალშიც — 21 და 28 მარტს.

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲐ

მარტში ე. წ. მაგნიტური დღეებია: 4, 7, 15, 19 და 29.

სპეციალისტების რჩევით ამ დღეებში განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ მეტეომგრძნობისადმი. ეს განსაკუთრებით ეხება ტრანსპორტზე მომუშავეებს, როგორც სპეციალისტები გვირჩევენ, ხსენებულ თარიღებში უნდა ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს, რაც განსაკუთრებულ ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ინფარქტისა და ინსულტისათვის, განსაკუთრებული სიფრთხილე და თავდაჭერა მართებთ ქვეშევრდომებისადმი უფროსებს.

„ᲤᲐᲖᲘᲡᲘ“ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

ᲛᲮᲝᲤᲚᲘᲝᲡ გარშემო აფროსანთა რბოლის, „უიტბრედის“, მორიგი მეოთხე ეტაპი ახალზელანდიელთა გამარჯვებით დამთავრდა. იახტა „სტეინლაგერმა“ თავისი სამშობლოდან, პორტ ოკლენდიდან ურუგვაის პუნტა დელ ესტამდე 6.255 მილი 22 დღეში, 20 საათში, 41 წუთსა და 53 წამში დაფარა. სულ 21 წუთით და 17 წამით ჩამორჩნენ მათ, ასევე ორანძიანი იახტით „ფიშერი და პაიკელით“, მოასპარეზე თანამემამულეები. ორი დღის განმავლობაში, როდესაც მეტოქეები არგენტინის ნაპირებს მიუყვებოდნენ, მათ შორის მანძილი სულ 200 მეტრი იყო. მესამე ადგილი დაიკავეს ინგლისელებმა „როტმანსით“. ისინი 12 საათით ჩამორჩნენ ლიდერებს.

განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ „შარლ ჟურდენსა“ და „მერიტის“ ჩამოჩენას, რომელთა გემბანებზეც იმყოფებოდნენ ფინური იახტის „მარტელას“ ეკიპაჟის წევრები. საქმე ისაა, რომ „მარტელა“ ღია ზღვაში გადაბრუნდა. საბედნიეროდ, ეკიპაჟის ყველა წევრი გადარჩა, ხოლო იახტის მფლობელებმა კი დაიწყეს ნავის სამძებრო სამუშაოები. მათ გადაწყვეტილი აქვთ, პოვნის შემთხვევაში, იახტა ბუქსირით წაიყვანონ არგენტინის პორტ შარ დელ პლატაში და ფინალური ეტაპის დაწყებამდე შეაკეთონ იგი.

რაც შეეხება „შარლ ჟურდენსა“ და „მერიტს“, ჟიურიმ განაცხადა, რომ მათი შედეგები შესწორდება დროის იმ დანაკარგის გათვალისწინებით რაც მათ კატასტროფაში მოხვედრილთა გადარჩენას და დაკარგული სისწრაფის აღდგენას მოანდომეს.

ჩვენი „ფაზისის“ შედეგი ამჯერად მხოლოდ მეცამეტეა.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲘᲚᲘ

პრესაში უკვე გამოქვეყნდა ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის 1989 წლის საუკეთესო ფეხბურთელთა სიები. შეგახსენებთ, რომ ლაურეატები გახდნენ (შესაბამისად) მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია „მილანი“, იტალია), ბებეტო (ბრაზილია, „ვასკო და გამა“) და ჟორჟ ვეა (ლიბერია „მონაკო“, საფრანგეთი). დღეს გაგაცნობთ ცალკეული ქვეყნების 1989 წლის უძლიერეს მოთამაშეებს:

ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ. სოკოლ კუშტა („ფლორა“, „პარტიზანი“)

ᲒᲓᲠ. ანდრეას ტრაუტმანი („დინამო“, დრეზდენი)

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ. მიშელ პრიუდომი („მეჰელენი“)

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ. ხრისტო სტოიჩკოვი („სრედეცი“)

ᲒᲬᲠ. ტომას ჰასლერი („კიოლნი“)

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. მიჰალ ბილეკი („სპარტა“)

ᲓᲐᲜᲘᲐ. მორტენ დონერუპი („ოდენსე“) და ბრაიან ლაუდრუპი („იურდინგენი“, გფრ)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. მარკ ჰიუბი (უელსი, „მანჩესტერ იუნაიტედი“) და სტივ ნიკოლი (შოტლანდია, „ლივერპული“)

ᲡᲘᲜᲔᲗᲘ. იარი ეუროპეუსი („როვანიემი“).

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ჟან პიერ პაპენი („მარსელი“)

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲔᲗᲘ. სპიროს იკონომოპულოსი (აეკი)

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ტორვალდურ ორლიგსონი (აკურეირი“)

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. რობერტო ბაჯო („ფიორენტინა“)

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ. დრაგან სტოიკოვიჩი („ცრვენა ზვეზდა“)

ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ. რობერ ლანჟერსი („ნიცა“, საფრანგეთი)

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ. ბარდ ბიერკელანდი („ლილესტრიომი“)

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. რიშარდ ტარასევიჩი („ქსამაქსი“, შვეიცარია)

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. გერჰარდ როდაქსი („ადმირა“)

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ. გეორგე პოპესკუ („უნივერსიტატია“)

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ტეო სნელდერსი (ჰოლანდია, „აბერდინი“)

ᲨᲕᲔᲪᲘᲐ. იონას ტერნი („ბენფიკა“, პორტუგალია)

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. პეტერ ნადიგი („ლუცერნი“).

პარადოქსია, მაგრამ ამ სიაში არ ფიგურირებს კონტინენტის საუკეთესო მოთამაშე ვან ბასტენი. საქმე ისაა, რომ იტალიაში, სადაც იგი თამაშობს კონკურსში მხოლოდ ადგილობრივი მოთამაშეები მონაწილეობდნენ, ხოლო მის მშობლიურ ჰოლანდიაში შეაჯამეს ქვეყნის პირველობაში მოასპარეზე ფეხბურთელთა შედეგები. ამ ნიშნით ჰოლანდიის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ბრაზილიელი რომარიო („ეინდჰოვენი“).

აზიისა და ოკეანიის უძლიერეს მოთამაშედ მიჩნეულია ახალზელანდიელი უინტონ რუფერი („ვერდერი“), მეორე ადგილი წილად ხვდა ფრანკ ფარინას (ავსტრალია, „ბრიუგე“ ბელგია).

ახლა კი ორიოდე სიტყვა ლათინური ამერიკის შესახებ. აქ ყოველ წელს ავლენენ ქვეყნის უძლიერეს გუნდს და ფეხბურთელს. როცა ლაპარაკია საუკეთესო გუნდზე, ყოველთვის ოფიციალური ჩემპიონი როდი იგულისხმება, აქაურ ქვეყნებში სეზონში რამდენიმე ტურნირი ტარდება და სწორედ ამიტომ საჭირო ხდება გამოკითხვის ჩატარება. ახლა გავეცნოთ გამარჯვებულებს:

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ. „ინდეპენდიენტე“; ხუან სიმონი („ბოკა ხუნიორსი“)

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. „სან პაულუ“, მაზინიო („ვასკო და გამა“)

ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲐ. „ბოლივარი“ და მისი თავდამსხმელი მილტონ მელგარი.

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ. „ნასიონალი“ (მედელინი) და გუნდის კაპიტანი რენე ჰიგუიტა.

ᲙᲝᲡᲢᲐ-ᲠᲘᲙᲐ. „დეპორტივო საპრისა“, ხუან კაისო (იქვე)

ᲙᲣᲑᲐ. „პინარ დელ რიო“, მისი მოთამაშე რაიმუნდო გარსია.

ᲩᲘᲚᲘ. „უნივერსიდად კატოლიკა“; სერხიო მერლინი („ჰიგინსი“)

ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲘ. „ლიგა დეპორტივა უნივერსიტარია“; ერმენ ბენიტესი („ნასიონალი“).

ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘ. „ლუის ანხელ ფირპო“; მაურისიო კენფუეგოსი (იქვე)

ᲙᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘ. „რეალ კლუბ დეპორტივო ესპანია“, ვისენტი დანელ ვეირა (ურუგვაი, „ოლიმპია“)

ᲰᲐᲘᲢᲘ. „ვაიოლეტ ატლეტიკ კლუბი“; გონაივ ედვარდ ლუმაჯი (იქვე)

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ. „კრუზ აზული“; ხორხე არავენა (ჩილი, „პუებლა“)

ᲜᲘᲙᲐᲠᲐᲒᲣᲐ. „დირიანგენი“; ლიბიო ბენდანა (იქვე)

ᲞᲐᲜᲐᲛᲐ. „ტაურო ფ. კ.“; ვიქტორ საავედრა („ლა პრევისორა“)

ᲞᲐᲠᲐ�გᲕᲐᲘ. „ოლიმპია“; პედრო გარაი (იქვე)

ᲠᲔᲠᲣ. „სპორტინგ კრისტალი“; ანდრეს გონსალესი („უნივერსიტარიო“)

ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ: „დონ ბოსკო დე მოსკა“; პასკაჩიო მენდოსა („უნავ“)

ᲣᲠᲣ�გᲕᲐᲘ: „პროგრესო“; სანტიაგო ოსტოლაბა („ნასიონალი“)

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐ: „დეპორტივო ტაჩირა“ და მისი მოთამაშე კარლოს მალდონადო.

როგორც ხედავთ, ვან ბასტენის მსგავსად, ვერც ბებეტომ შეძლო საკუთარ ქვეყანაში აღიარების მოპოვება. მაგრამ აქ არავითარი ობიექტური მიზეზი არ ყოფილა. უბრალოდ ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა ბებეტოს მაზინიო არჩიეს.

და ბოლოს კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: ნიგერიის საუკეთესო ფეხბურთელად, და ამავე დროს, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს სემ ოკვარაჯი, რომელიც გულის უკმარისობით გარდაიცვალა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის (ნიგერია-ანგოლა) დროს.

(სპკ. ᲘᲜᲤᲝ.)

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲰᲝᲡᲘᲡ თასის გათამაშების ფინალურ მატჩებში 14 და 21 მარტს ერთმანეთს შეხვდებიან ტურლას „იადინსტვოსა“ და მილანის „ჯემიაზის“ კალათბურთელ ქალთა გუნდები. განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში „ჯემიაზი“ დამარცხდა პარმის „პრიმიზიესთან“ ანგარიშით 49:56, „იადინსტვომ“ სძლია ლიუბლიანის „ისკრას“ 75:73.



ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ. კანადის ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც ქალაქ სასკატუნაში გაიმართა, 22 წლის მარკ ტიუკსბერიმ 25-მეტრიან აუზში 100 მეტრი გულაღმა 53,69 წამში გაცურა. ამით მან პირველმა გაუმჯობესა გდრ-ს სპორტსმენის, დირკ რიხტერის ხუთი წლის წინ ნაჩვენები შედეგი — 54,20 წმ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380006, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53, „მერანი“ — 98-97-26, „მარაგი“ — 98-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380006, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743